

მტკიცების ტვირთი და მტკიცებულებათა შეფასება

სამოქალაქო საპროცესო სამართალში

ირაკლი დაუთაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
სამართლის სკოლის სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების  
მოთხოვნების შესაბამისად*

კერძო (ბიზნეს) სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ლაშა კალანდაძე

სამართლის მაგისტრი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

## განაცხადი

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ, ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული, ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“.

ირაკლი დაუთაშვილი \_\_\_\_\_ 28/06/2019

## აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომის საკვლევი საკითხია მტკიცების ტვირთის განაწილება და მტკიცებულებათა შეფასება სამოქალაქო საპროცესო სამართალში. სამოქალაქო დავების წარმოება შეუძლებელია მტკიცებითი საქმიანობის ცოდნის გარეშე, ვინაიდან საქმის წარმატება ძირითად დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ შეძლებენ მხარეები სარჩელსა თუ შესაგებელში მითითებული გარემოებების დასაბუთებას შესაბამისი მტკიცებულებებით.

ნაშრომში თეორიულ საკითხებთან ერთად განხილული და გაანალიზებულია სამოქალაქო საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები. შესაბამისად საკვლევი თემა მნიშვნელოვანი და აქტუალურია სამოქალაქო საპროცესო სამართლით დაინტერესებული პირებისთვის.

ნაშრომში გამოკვლეულია ისეთი საკითხები, როგორცაა სასამართლო მტკიცების არსი, მისი განსაზღვრის საშუალებები და მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების წესი. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ მტკიცების საგანი ძირითად განისაზღვრება მხარეთა მიერ სარჩელსა და შესაგებელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით, ხოლო მატერიალური კანონმდებლობის საფუძველზე განისაზღვრება თუ როგორ უნდა გადანაწილდეს მხარეთა შორის მტკიცების ტვირთი. შესაბამისად, მტკიცებითი პროცესი ძირითადად მხარეთა აქტიურობაზეა დამოკიდებული. ასევე ცალკე თემებად არის გამოყოფილი მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების ზოგადი და სპეციალური წესები. გაანალიზებულია თუ როგორ უნდა მოხდეს მტკიცების ტვირთის გადანაწილება კონკრეტულ სახელშეკრულებო-სამართლებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე დავებზე. სახელშეკრულებო დავების ცალკე საკითხებად გამოყოფა განაპირობა იმან, რომ ყველაზე ხშირად ასეთი ტიპის დავებში ხდება შეცდომის დაშვება მტკიცებით პროცესთან დაკავშირებით. რაც შეეხება საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების სამართლებრივ შეფასებას, კვლევის შედეგად ასევე

დადგინდა, რომ მტკიცებულებათა შეფასება უნდა მოხდეს მათი დასაშვებობისა და განკუთვნიადობის პრინციპების საფუძველზე. მნიშვნელოვანია, რომ სადავო ფაქტობრივი გარემოებების დადგენა უნდა მოხდეს მხოლოდ სათანადო მტკიცებულებებით. ამასთან არ შეიძლება საქმეში წარმოდგენილი ისეთი მტკიცებულებების იურიდიული კვალიფიკაცია, რომლებსაც საქმესთან შემხებლობა არა აქვთ. მტკიცებულებათა შეფასების დროს მოსამართლის შინაგანი რწმენა უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ საქმეში არსებული მტკიცებულებების სრულყოფილად გამოკვლევას სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში.

**ძირითადი საძიებო სიტყვები:** სასამართლო მტკიცება; მტკიცების საგანი; მტკიცების ტვირთი; სასამართლო მტკიცებულებები; მტკიცებულებათა შეფასება;

## Abstract

The subject of study of this work is the distribution of the burden of proof and the evaluation of evidences in civil law. It is impossible to proceed civil disputes without being aware of evidentiary activity, since the success of the case mainly depends on how the parties are able to justify the circumstances indicated in the appeal or the counterclaim through the relevant evidences.

The work discusses and analyzes the decisions of the Supreme Court of Georgia on civil cases and theoretical issues as well. Consequently, the subject of study is important and relevant for people interested in civil procedure law.

The work reviews issues such as the essence of forensic evidence, the means of its determination and the rule of distribution of the burden of proof between the parties. As a result of the study it has been identified that the subject of proof is determined by the parties according to the factual circumstances indicated in the appeal and the counterclaim, and on the basis of the material legislation it is determined how the burden of proof should be distributed between the parties. Consequently, the evidentiary process depends on the activities of the parties. The general and special rules for the distribution of the burden of proof between the parties are also allocated as separate topics. It is analyzed how the burden of proof should be distributed between the disputes arising from particular contractual-legal relationships. The allocation of the contractual disputes into separate issues has been provided by the fact that there are often made mistakes in such types of disputes in connection with the evidentiary process. As regards to the legal assessment of the evidences presented in the case, it has also been determined that the evidences should be evaluated based on the principles of their admissibility and relevance. It is important to identify disputable factual circumstances by appropriate evidences. In addition, it is impossible to give legal qualification to the evidences presented in the case, which do not have any touch point with the case. During the evidence evaluation the inner conviction of judges

must be based only on effective examination of the evidences in conjunction with other evidences.

**Search keywords:** Forensic Proof; The Subject of Proof; The Burden of Proof; Forensic Evidences; Evaluation of Evidences;